განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრი

05/06/2026

MES 5 26 0000677868

ბრძანება

თბილისი

„პროფესიული უნარების განვითარების პროგრამების“ „საჯარო პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების მასწავლებლებისა და ადმინისტრაციული პერსონალის საერთაშორისო ვიზიტების ხელშეწყობის“ ქვეპროგრამის ფარგლებში იტალიაში, ქალაქ მილანში, ბურგოს მოდის ინსტიტუტში (ISTITUTO DI MODA BURGO S.r.l.) დაგეგმილ მოდის, ტექნოლოგიისა და დიზაინის მიმართულების პროფესიული მასწავლებლების სასწავლო ვიზიტში მონაწილეობის მიზნით, აპლიკანტთა განაცხადებისა და თანდართული დოკუმენტაციის წარდგენის ვადების და აპლიკანტთა შერჩევის კრიტერიუმების განსაზღვრის თაობაზე

„საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, „საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2023 წლის 26 დეკემბრის №524 დადგენილების პირველი მუხლით დამტკიცებული „საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს დებულების“ მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ და „ლ“ ქვეპუნქტებისა და მე-4 მუხლის მე-5 პუნქტის, „პროფესიული უნარების განვითარების პროგრამები“ პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის 2025 წლის 31 დეკემბრის №1864110 ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიული უნარების განვითარების პროგრამების“ „საჯარო პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების მასწავლებლებისა და ადმინისტრაციული პერსონალის საერთაშორისო ვიზიტების ხელშეწყობის“ ქვეპროგრამის, „ზვიად გაბისონიასათვის უფლებამოსილების დაკისრების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის 2026 წლის 27 მაისის №630010 ბრძანების, „სამართლებრივი აქტების პროექტების შემუშავების მიზნით ინიციატივების/პროექტების წარმოდგენის წესისა და ვადების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის 2024 წლის 15 იანვრის №28880 ბრძანების საფუძველზე და საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის მოადგილის 2026 წლის 04 ივნისის №669535 სამსახურებრივი ბარათის გათვალისწინებით,

ვბრძანებ:

1. „პროფესიული უნარების განვითარების პროგრამების“ „საჯარო პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების მასწავლებლებისა და ადმინისტრაციული პერსონალის

საერთაშორისო ვიზიტების ხელშეწყობის“ ქვეპროგრამის ფარგლებში იტალიაში, ქალაქ მილანში, ბურგოს მოდის ინსტიტუტში (ISTITUTO DI MODA BURGO S.r.l.) დაგეგმილ მოდის, ტექნოლოგიისა და დიზაინის მიმართულების პროფესიული მასწავლებლების სასწავლო ვიზიტში მონაწილეობის მიზნით:

ა) აპლიკანტთა განაცხადებისა და თანდართული დოკუმენტაციის წარდგენის ვადები განისაზღვროს 2026 წლის 08 ივნისიდან 2026 წლის 14 ივნისის ჩათვლით;

ბ) განისაზღვროს აპლიკანტთა შერჩევის კრიტერიუმები ამ ბრძანების დანართის შესაბამისად.

2. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის.: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64).

საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და
ახალგაზრდობის მინისტრის მოვალეობის
შემსრულებელი
ზვიად გაბისონია

დანართი

იტალიაში, ქალაქ მილანში, ბურგოს მოდის ინსტიტუტში (ISTITUTO DI MODA BURGO S.r.l.) დაგეგმილ მოდის, ტექნოლოგიისა და დიზაინის მიმართულების პროფესიული მასწავლებლების ვიზიტში მონაწილეობის მიზნით, აპლიკანტთა შერჩევის კრიტერიუმები

1. კონკურსის ფარგლებში, აპლიკანტის მიერ წარმოსადგენი დოკუმენტაცია:

1.1. შევსებული განაცხადი, ქვეპროგრამის დანართი 1.2-ით გათვალისწინებული ფორმით;

1.2. რეპლიკაციის აქტივობების გეგმა;

1.3. აპლიკანტის დამსაქმებელი დაწესებულების ხელმძღვანელის/ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებლის მიერ სარეკომენდაციო წერილი, ქვეპროგრამის დანართი 1.3.-ით გათვალისწინებული ფორმით.

2. მონაწილეთა შერჩევის კრიტერიუმები:

2.1. აპლიკანტი არის საჯარო პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების პროფესიული განათლების მასწავლებელი;

2.2. აპლიკანტი ახორციელებს დარგობრივ პროფესიულ მოდულ(ებ)ს პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის მოდის ტექნოლოგია და დიზაინი (SA 07.9.1) ფარგლებში შემუშავებული პროფესიული პროგრამის ფარგლებში;

2.3. აპლიკანტი ფლობს ინგლისურ ენას საკომუნიკაციო დონეზე.